საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030120843316018

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/6143 **02 / თებერვალი / 2018 წ.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ კახა ხანდოლიშვილს

ბატონო კახა,

თქვენი 2018 წლის 26 იანვრის MES 5 18 00076699 წერილის პასუხად, რომელიც ეხება აღმოსავლეთ პარტნიორობის „ევროპულ სკოლასთან“ თანამშრომლობით სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობასთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ მოწოდებული კითხვარის შევსების საკითხს, წარმოგიდგენთ ინფორმაციას აღნიშნულ კითხვარში დასმული საკითხების თაობაზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში.

Access to health services for students and teachers:

- Does Georgia have any health record and/or vaccinations requirements for foreign students and teachers?

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 14 ნოემბრის № 300/ნ ბრძანებით განსაზღვრულია ინფექციური და სხვა დაავადებები, რომელთა ხასიათმა, სიმძიმემ და ხანგრძლივობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს მოსახლეობას და შეიძლება გახდეს უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. ეს დაავადებებია: ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) გამოწვეული ავადმყოფობა - B20-B24 (არ იგულისხმება აივ-ვირუსით გამოწვეული უსიმპტომო ინფექციური სტატუსი Z21), კეთრი - A30 – ჰანზენის ავადმყოფობა (იგულისხმება mycobacterium leprae-ით გამოწვეული ინფექცია, არ იგულისხმება კეთრის შედეგები B92), ტუბერკულოზი - A15-A19 (იგულისხმება: ინფექციები, გამოწვეული mycobacterium tuberculosis-ით და mycobacterium bovis-ით, არ იგულისხმება: თანდაყოლილი ტუბერკულოზი (P37.0), პნევმოკონიოზი დაკავშირებული ტუბერკულოზთან (J65), ტუბერკულოზის შედეგები (B90), სილიკოტუბერკულოზი (J65)).

- Which steps need to be undertaken (e.g. health insurance) Georgian healthcare services in case of emergency?

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის № 36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის" მოსარგებლენი არიან: საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, ასევე საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები. ბენეფიციართა სხვადასხვა კატეგორიებისათვის პროგრამით გათვალისწინებულია როგორც გეგმიური და გადაუდებელი ამბულატორიული, ასევე სტაციონარული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება („საბაზისო პაკეტი“, „ასაკობრივი პაკეტი“, „მიზნობრივი პაკეტი“, „ვეტერანების პაკეტი“), შესაბამისი ლიმიტებისა და თანაგადახდების გათვალისწინებით.

- Is there a need for a parental authorization to practice minors?

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტებისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის

აუცილებელი პირობაა ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა (მუხლი 22, პუნქტი 1). ამასთან, აღნიშნული კანონის 41-ე მუხლის თანახმად:

ა) 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან პაციენტს, რომელიც, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის შეხედულებით, სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას, უფლება აქვს, ინფორმირებული თანხმობა განაცხადოს სამედიცინო მომსახურების გაწევაზე, თუ მან სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს მიმართა სქესობრივად გადამდები დაავადების ან ნარკომანიის მკურნალობის, კონტრაცეფციის არაქირურგიული მეთოდების შესახებ კონსულტაციის მიღების ან ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის, ასევე, აივ ინფექცია/შიდსის დიაგნოსტიკის მიზნით;

ბ) 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვან პაციენტს სამედიცინო მომსახურება გაეწევა მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს მიმართა სქესობრივად გადამდები დაავადების ან ნარკომანიის მკურნალობის, კონტრაცეფციის არაქირურგიული მეთოდების შესახებ კონსულტაციის მიღების ან ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის, ასევე, აივ ინფექცია/შიდსის დიაგნოსტიკის მიზნით. ამასთან, სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია პაციენტის მონაწილეობა მისი ასაკისა და გონებრივი განვითარების გათვალისწინებით;

გ) 16 წელზე მეტი ასაკის არასრულწლოვან პაციენტს, რომელიც, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის შეხედულებით, სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას, უფლება აქვს, ინფორმირებული თანხმობა ან უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურების გაწევაზე. პაციენტის ამ გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს.

- Do any other services (such as social services) need to be informed of the unaccompanied stay of a minor in Georgia?)
არასრულწლოვნის თანმხლები პირის გარეშე საქართველოში ყოფნის თაობაზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ეცნობოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია